დამოუკიდებელი ინსპექტორის
გ ა დ ა წ ყ ვ ე ტ ი ლ ე ბ ა

ქ. თბილისი **2023 წლის 21 თებერვალი**

დისციპლინური საქმე №13/23
მოსამართლე -- -- მიმართ
დისციპლინური სამართალწარმოების ნაწილობრივ შეწყვეტის შესახებ

-- -- 2023 წლის 6 თებერვლის №13 საჩივრის საფუძველზე „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 75^5 მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის და 75^6 მუხლის შესაბამისად, საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს დამოუკიდებელი ინსპექტორის მიერ მოსამართლე -- -- მიმართ დაიწყო დისციპლინური სამართალწარმოება და წარმოდგენილი საჩივრის საფუძვლიანობის წინასწარი შემოწმება.

საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს დამოუკიდებელი ინსპექტორის 2023 წლის 7 თებერვლის №49/13-03 წერილით მოსამართლეს ეცნობა მის მიმართ საჩივრის შემოსვლის და დისციპლინური სამართალწარმოების დაწყების შესახებ ინფორმაცია და განხორციელდა საქმის მასალების გამოთხოვა.

1. საჩივრის ავტორის მიერ მითითებული ფაქტები:

1.1. საჩივრის ავტორის განცხადებით, 2022 წლის 14 დეკემბერს სასამართლოს მიმართა საქმეების გაცნობის, ამონაწერის გაკეთების და ასლების გადაღების მოთხოვნით რამდენიმე საქმეზე, საიდანაც №-- და №-- დღემდე არ გადასცემია გასაცნობად და არც წარმოებაში მიღების და არც წარმოებაში მიღებაზე უარის თქმის განჩინებები ჩაბარებია.

1.2. საჩივრის ავტორის განმარტებით, მოსამართლე №-- საქმეზე დაუფარავად უჭერს მხარს -- --, რისი დასტურიცაა ის ფაქტი, რომ იძულებული გახდა -- სააპელაციო სასამართლოში -- -- სასამართლოს მეშვეობით შეეტანა კერძო საჩივარი.

1.3. ასევე, საჩივრის ავტორი აღნიშნავს, რომ მოსამართლემ განჩინება საქმეზე №-- მიიღო კანონის უხეში დარღვევებით.

1.4. საჩივრის ავტორი აცხადებს, რომ მოსამართლემ საქმეზე №-- სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების შესახებ განჩინების მიღებისას ალბათობის მაღალი ხარისხით ჩაიდინა სამოხელეო დანაშაული. კერძოდ, აღნიშნულ საქმეზე სარჩელი სასამართლოში გატარდა და მოსამართლეზე განაწილდა 2022 წლის 14 ივლისს 15 საათსა და 42 წუთზე. საჩივრის ავტორის მოსაზრებით მოსამართლეს საქმე გადაეცემოდა მეორე დღეს და მთელი -- -- სასამართლოს თანამშრომლები რომ დახმარებოდნენ მაინც ვერ გაეცნობოდა საქმეს და ვერ გამოიტანდა განჩინებას სარჩელის უზრუნველყოფის შესახებ. ამასთან, აღნიშნული განჩინების მიღების უფლება მას არ ჰქონდა და საპროცესო კანონმდებლობის დარღვევით მიიღო.

1.5. საჩივრის ავტორი აცხადებს, რომ №-- საქმეზე მიმართა განცხადებით მოსამართლის აცილებასთან დაკავშირებით, რაზეც პასუხი არ მიუღია, ასევე საჩივრის ავტორი აცხადებს, რომ სანამ გვიანი არ არის მოსამართლემ თავად უნდა აიცილოს №-- და №-- საქმეები.

2. საჩივრის საფუძვლიანობის წინასწარი შემოწმების და გამოკვლევის შედეგად დადგენილი ფაქტობრივი გარემოებები:

2.1. 2022 წლის 4 ივლისს -- -- სარჩელით მიმართა -- -- სასამართლოს, მოპასუხე - -- -- მიმართ ჩუქების ხელშეკრულების გაუქმების მოთხოვნით. 2022 წლის 4 ივლისის განჩინებით -- -- წარმომადგენლის -- -- სარჩელი და სარჩელის უზრუნველყოფის შესახებ განცხადება არ იქნა მიღებული წარმოებაში. 2023 წლის 23 იანვარს -- -- განცხადებით მიმართა სასამართლოს საქმის მასალების გაცნობის მოთხოვნით (საქმე №--).

2.2. 2022 წლის 14 ივლისს -- -- სარჩელით მიმართა -- -- სასამართლოს, მოპასუხე -- -- მიმართ ჩუქების ხელშეკრულების ბათილობის მოთხოვნით (საქმე №-- --). 2022 წლის 14 ივლისის განჩინებით -- -- წარმომადგენლის განცხადება სარჩელის უზრუნველყოფის შესახებ დაკმაყოფილდა; მოპასუხე -- -- აეკრძალა მის საკუთრებაში -- -- 10% წილის გასხვისება და უფლებრივად დატვირთვა. 2022 წლის 27 ივლისს მოპასუხე მხარემ შესაგებელი წარადგინა სასამართლოში. 2022 წლის 11 ნოემბერს -- -- განცხადებით მიმართა სასამართლოს -- -- უფლებამონაცვლედ ცნობის შესახებ თხოვნით.

2.3. 2022 წლის 5 ივლისს -- -- იურიდიული მნიშვნელობის ფაქტის დადგენის შესახებ განცხადებით მიმართა -- -- სასამართლოს (საქმე №--). 2022 წლის 7 ივლისის განჩინებით -- -- უარი ეთქვა განცხადების მიღებაზე.

2.4. 2022 წლის 15 აგვისტოს -- --, -- -- და -- -- სარჩელით მიმართეს -- -- სასამართლოს, მოპასუხე - -- --, -- --, -- --, -- -- მიმართ ფაქტის დადასტურების მოთხოვნით. 2022 წლის 15 აგვისტოს განჩინებით -- --, -- -- და -- -- უარი ეთქვათ სარჩელის განსახილველად მიღებაზე (საქმე №--).

2.5. 2022 წლის 18 აგვისტოს -- სარჩელით მიმართა -- -- სასამართლოს, მოპასუხე -- -- მიმართ თანხის დაკისრების მოთხოვნით (საქმე №--). 2022 წლის 19 სექტემბერს მოპასუხე მხარემ შესაგებელი წარადგინა სასამართლოში.

2.6. 2022 წლის 26 აგვისტოს -- -- სარჩელით მიმართა -- -- სასამართლოს, მოპასუხე - -- --, -- -- მიმართ თანხის დაკისრების მოთხოვნით. 2022 წლის 27 აგვისტოს განჩინებით -- -- უარი ეთქვა სარჩელის მიღებაზე (საქმე №--).

2.7. 2022 წლის 12 ოქტომბერს -- -- სარჩელით მიმართა -- -- სასამართლოს, მოპასუხე - -- --, -- -- მიმართ თანხის დაკისრების მოთხოვნით. 2022 წლის 13 ოქტომბრის განჩინებით -- -- უარი ეთქვა სარჩელის მიღებაზე. 2022 წლის 25 ნოემბერს მოსარჩელე მხარემ კერძო საჩივარი წარადგინა სასამართლოში (საქმე №--).

2.8. 2022 წლის 1 ნოემბერს -- -- სარჩელით მიმართა -- -- სასამართლოს, მოპასუხე - -- -- მიმართ ზიანის ანაზღაურების მოთხოვნით (საქმე №--). 2022 წლის 11 ნოემბერს მოპასუხემ სასამართლოში წარადგინა შესაგებელი.

2.9. 2022 წლის 12 დეკემბერს -- -- განცხადებით მიმართა -- -- სასამართლოს, მოწინააღმდეგე მხარის - - -- -- მიმართ -- -- სასამართლოს 2020 წლის 21 თებერვლის დაუსწრებელი გადაწყვეტილების გაუქმების მოთხოვნით (საქმე №--). 2022 წლის 20 სექტემბრის განჩინებით -- -- დაუსწრებელი გადაწყვეტილების ბათილად ცნობისა და საქმის წარმოების განახლების შესახებ განცხადებაზე დაუდგინდა ხარვეზი და მის შესავსებად განესაზღვრა 10 დღიანი ვადა. 2022 წლის 10 დეკემბრის განჩინებით დასაშვებად იქნა მიჩნეული -- -- წარმომადგენლის განცხადება გადაწყვეტილების ბათილად ცნობის შესახებ. 2023 წლის 10 თებერვალს გაიმართა სასამართლო სხდომა. საჩივრის ავტორმა დააყენა შუამდგომლობა სასამართლოს აცილების შესახებ, რომელიც არ დაკმაყოფილდა.

3. საჩივრის საფუძვლიანობის წინასწარი შემოწმების და გამოკვლევის შედეგად დადგენილი ფაქტობრივი გარემოებების სამართლებრივი შეფასება:

„საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის თანახმად, დისციპლინურ გადაცდომად შეიძლება მიჩნეულ იქნას მხოლოდ ისეთი ქმედება, რომელიც წარმოდგენილია „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 75^1 მუხლის მე-8 პუნქტში.

საქართველოს კონსტიტუციით გარანტირებულია სასამართლოს დამოუკიდებლობა. კერძოდ, საქართველოს კონსტიტუციის 59-ე მუხლის მე-3 პუნქტის თანახმად, მართლმსაჯულებას ახორციელებენ სასამართლოები, 62-ე მუხლის მე-2 პუნქტი კი განსაზღვრავს, რომ მოსამართლის მიერ მიღებული გადაწყვეტილების გადასინჯვის და შეცვლის უფლებამოსილება ზემდგომი ინსტანციის სასამართლოს კომპეტენციას წარმოადგენს. საქართველოს კონსტიტუციის 63-ე მუხლის პირველი პუნქტის თანახმად, მოსამართლე ემორჩილება მხოლოდ კონსტიტუციას და კანონს და არავის აქვს უფლება მოსთხოვოს მოსამართლეს ანგარიში კონკრეტულ საქმეზე.

„საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-7 მუხლის პირველი პუნქტის თანახმად, მოსამართლე თავის საქმიანობაში დამოუკიდებელია. მოსამართლე ფაქტობრივ გარემოებებს აფასებს და გადაწყვეტილებებს იღებს მხოლოდ საქართველოს კონსტიტუციის, საერთაშორისო სამართლის საყოველთაოდ აღიარებული პრინციპებისა და ნორმების, სხვა კანონების შესაბამისად, თავისი შინაგანი რწმენის საფუძველზე.

სწორედ სასამართლოს დამოუკიდებლობის მოთხოვნიდან გამომდინარე, ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო ადგენს, რომ „მოსამართლის მიერ მიღებული გადაწყვეტილება არ შეიძლება იყოს გადასინჯვის საგანი, გარდა გასაჩივრების ტრადიციული პროცედურისა“ (ალექსანდრე ვოლკოვი უკრაინის წინააღმდეგ §80). გასაჩივრების უფლების რეალიზაციის მიზნით, მხარეებს მათი უფლებებისა და ინტერესების დასაცავად, საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესის თანახმად, შესაძლებლობა აქვთ მიმართონ ზემდგომი ინსტანციის სასამართლოს. შესაბამისად, დისციპლინური სამართალწარმოების ჭრილში, დამოუკიდებელი ინსპექტორი ვერ იმსჯელებს მოსამართლის მიერ მიღებული განჩინება/გადაწყვეტილების კანონიერებაზე, ვინაიდან დამოუკიდებელი ინსპექტორის სამსახური არ წარმოადგენს სასამართლოს ზემდგომ ინსტანციას, რომელსაც შეუძლია გააუქმოს/შეცვალოს გადაწყვეტილება. ზემოაღნიშნული პრინციპების დასაცავად, „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 75^{10} მუხლის მე-5 პუნქტი განსაზღვრავს, რომ დისციპლინური სამართალწარმოების დროს დაუშვებელია მოსამართლის მიერ გამოტანილი აქტების კანონიერებაზე ზედამხედველობა.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სადისციპლინო პალატა 2016 წლის 21 ივლისის №დს-შ/9-16 გადაწყვეტილებაში განმარტავს, რომ „კანონიერების პრინციპი კანონის უზენაესობას ეფუძნება. ეს კონსტიტუციური პრინციპია, რომლის თანახმად, არავის არ აქვს უფლება კანონმდებლობის მოთხოვნათა საწინააღმდეგოდ განახორციელოს რაიმე ქმედება.“

მოცემულ შემთხვევაში კანონიერებაზე ზედამხედველობის აკრძალვა გულისხმობს მოსამართლის მიერ კანონის განმარტების, მტკიცებულებების შეფასების, აგრეთვე, ფაქტობრივი და სამართლებრივი დასკვნების შეფასების დაუშვებლობას. აღნიშნული ფართო გაგებით, ჰიპოთეტურად, კონკრეტული დისციპლინური გადაცდომის სახისა და ელემენტების გათვალისწინებით, შეიძლება მოიცავდეს მოსამართლის მიერ მიღებული აქტების შესწავლასაც. თავის მხრივ, იმის შემოწმება, ხომ არ ჩაიდინა მოსამართლემ დისციპლინური გადაცდომა წარმოადგენს მოსამართლის ქმედების კანონიერების შემოწმებას. თუმცა, საჩივარში მითითებული გარემოება, რომელიც შეეხება მოსამართლის მიერ მიღებული გადაწყვეტილებისა და განჩინების კანონიერების საკითხის შეფასებას, სცილდება დამოუკიდებელი ინსპექტორის კომპეტენციის ფარგლებს.

საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 415-ე მუხლის მიხედვით, კერძო საჩივარი შეტანილი უნდა იქნეს იმ სასამართლოში, რომელმაც მიიღო გადაწყვეტილება. ბუნებრივია, საჩივრის ავტორს №-- საქმეზე საპროცესო კანონმდებლობის შესაბამისად უნდა წარედგინა განჩინების გამომტან სასამართლოში, მოცემულ შემთხვევაში -- -- სასამართლოში, რომელიც გადააგზავნიდა ზემდგომი ინსტანციის სასამართლოში საჩივარს საქმის მასალებთან ერთად. შესაბამისად, აღნიშნული ფაქტი ვერ ჩაითვლება პროცესის მონაწილე რომელიმე მხარის მიმართ მხარდაჭერად.

ამავე კოდექსის 186-ე მუხლის პირველი ნაწილის მიხედვით, მოსამართლე სარჩელის ჩაბარებიდან 5 დღის ვადაში არ მიიღებს სარჩელს, თუ: სარჩელი არ ექვემდებარება სასამართლო უწყებას; არსებობს სასამართლოს გადაწყვეტილება ან განჩინება მოსარჩელის მიერ სარჩელზე უარის თქმის, მოპასუხის მიერ სარჩელის ცნობის ან მხარეთა მორიგების დამტკიცების შესახებ; არსებობს სანოტარო მედიაციის ფარგლებში სანოტარო წესით დადასტურებული მორიგების აქტი; არსებობს საქართველოს იუსტიციის სამინისტროს მმართველობის სფეროში შემავალი საჯარო სამართლის იურიდიული პირის – აღსრულების ეროვნული ბიუროს თავმჯდომარის ბრძანება დავალიანების გადახდევინების შესახებ ან მორიგების პირობების დამტკიცების თაობაზე იმავე საქმესთან დაკავშირებით; მხარეთა შორის არსებობს მედიაციის თაობაზე შეთანხმება, რომლითაც მხარეები თანხმდებიან, რომ არ მიმართონ სასამართლოს განსაზღვრული ვადის ან გარემოების დადგომამდე, – ამ შეთანხმებით გათვალისწინებული პირობების შესრულებამდე, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც მოსარჩელე ადასტურებს, რომ სასამართლო განხილვის გარეშე მას გამოუსწორებელი ზიანი მიადგება; ამ ან სხვა სასამართლოს წარმოებაშია საქმე დავაზე იმავე მხარეებს შორის, იმავე საგანზე და იმავე საფუძვლით; საქმე ამ სასამართლოს განსჯადი არ არის; დაინტერესებული პირის სახელით სარჩელი შეიტანა პირმა, რომელსაც არა აქვს უფლებამოსილება საქმის წარმოებაზე. საქმეზე №-- მოსამართლემ მიიღო განჩინება სარჩელის მიღებაზე უარის თქმის შესახებ. შესაბამისად, მოსამართლე მოქმედებდა მისთვის საპროცესო კანონმდებლობით მინიჭებული უფლებამოსილების ფარგლებში.

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 193-ე მუხლის მიხედვით, განცხადებას სარჩელის უზრუნველყოფის შესახებ გადაწყვეტს ამ სარჩელის განმხილველი სასამართლო განცხადების შეტანიდან ერთი დღის ვადაში, მოპასუხისთვის შეუტყობინებლად. მოცემული მუხლის დანაწესიდან გამომდინარე საჩივრის ავტორის მსჯელობა №-- საქმესთან დაკავშირებით, რომ მოსამართლეს სავარაუდოდ მეორე დღეს გადაეცემოდა საქმე და ვერ მოასწრებდა საქმის გაცნობას საფუძველს მოკლებულია, რამდენადაც სარჩელის უზრუნველყოფა დაჩქარებული პროცესია და მისი განხილვისთვის ერთ დღიანი ვადა არის დადგენილი და როგორც წესი, სარჩელის განაწილებისთანავე მიეწოდება მოსამართელს განსახილველად. რაც შეეხება საჩივრის ავტორის განცხადებას, რომ მოსამართლეს მოცემული განჩინების მიღების უფლება არ ქონდა. უნდა აღინიშნოს, რომ სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 191-ე მუხლის პირველი ნაწილის მიხედვით, მოსარჩელეს შეუძლია მიმართოს სასამართლოს სარჩელის უზრუნველყოფის შესახებ განცხადებით, რომელშიც მითითებული უნდა იყოს გარემოებები, რომელთა გამოც სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების გამოუყენებლობა გააძნელებს ან შეუძლებელს გახდის გადაწყვეტილების აღსრულებას, დარღვეული ან სადავო უფლების განხორციელებას, გამოიწვევს გამოუსწორებელ და პირდაპირ ზიანს ან ისეთ ზიანს, რომელიც კომპენსირებული ვერ იქნება მოპასუხისათვის ზიანის ანაზღაურების დაკისრებით. ეს განცხადება ასევე უნდა შეიცავდეს დასაბუთებას, თუ სარჩელის უზრუნველყოფის რომელი ღონისძიების გამოყენება მიაჩნია მოსარჩელეს აუცილებლად. რომელიმე ზემოაღნიშნული გარემოების არსებობის შემთხვევაში სასამართლოს გამოაქვს სარჩელის უზრუნველყოფის შესახებ განჩინება. სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენება ემყარება სასამართლოს ვარაუდს, რომ სარჩელი შეიძლება დაკმაყოფილდეს. სასამართლოს მსჯელობა სარჩელის მატერიალურ და საპროცესო წინაპირობებზე გავლენას არ ახდენს სასამართლოს საბოლოო გადაწყვეტილებაზე.

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 33-ე მუხლის მიხედვით, მხარეებს შეუძლიათ წერილობით განაცხადონ აცილება. განცხადება აცილების შესახებ მოტივირებულ უნდა იქნეს და გაკეთდეს საქმის წინასწარი სასამართლო განხილვისათვის მომზადების დროს. აცილების თაობაზე შემდგომი განცხადება დაიშვება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ აცილების საფუძველი იმ პირისათვის, რომელიც აცილებას მოითხოვს, ცნობილი გახდა ან წარმოიშვა მთავარი სხდომის დაწყების შემდეგ. ასეთ შემთხვევაში განცხადება აცილების შესახებ დასაშვებია მხარეთა პაექრობამდე. საქმეზე №-- მოსამართლის აცილების შუამდგომლობა საჩივრის ავტორმა დააყენა 2023 წლის 10 თებერვალს გამართულ სასამართლო სხდომაზე, სადაც შუამდგომლობა არ დაკმაყოფილდა. აცილების საკითხს სასამართლო წყვეტს ადგილზე მოთათბირებით ან სათათბირო ოთახში. საჩივრის ავტორის მოთხოვნა №-- და №-- საქმეებზე მოსამართლის აცილებასთან დაკავშირებით საფუძველს მოკლებულია.

შესაბამისად, კანონით განსაზღვრული დისციპლინური გადაცდომის ნიშნების არარსებობისას, დამოუკიდებელი ინსპექტორი არ არის უფლებამოსილი შეაფასოს მოსამართლის მიერ მიღებული გადაწყვეტილების/განჩინების კანონიერება, რადგან არ წარმოადგენს მართლმსაჯულების განმახორციელებელ ორგანოს. ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, კანონიერების შემოწმების მიზნით დისციპლინური სამართალწარმოების განხორციელება შეუძლებელია.

„საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 75^{12} მუხლის პირველი პუნქტის „დ“ ქვეპუნქტის თანახმად, დამოუკიდებელი ინსპექტორი იღებს დასაბუთებულ გადაწყვეტილებას მოსამართლის მიმართ დისციპლინური სამართალწარმოების შეწყვეტის შესახებ, თუ საჩივარი ეხება მოსამართლის მიერ გამოტანილი აქტების კანონიერებას.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, დამოუკიდებელმა ინსპექტორმა იხელმძღვანელა „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 75^{10} მუხლის მე-5 პუნქტით, 75^{12} მუხლის პირველი პუნქტის „დ“ ქვეპუნქტით და

გ ა დ ა წ ყ ვ ი ტ ა:

1. შეწყდეს -- -- 2023 წლის 6 თებერვლის №13 საჩივრის საფუძველზე არსებული დისციპლინური სამართალწარმოება მოსამართლე -- -- მიმართ, აქტის კანონიერების შემოწმების ნაწილში (წინამდებარე გადაწყვეტილების 1.2.-1.5. პუნქტები).

2. გაგრძელდეს დისციპლინური სამართალწარმოება №13/23 დისციპლინურ საქმეზე მოსამართლე -- -- მიმართ, შესაძლო დისციპლინური გადაცდომის სხვა ფაქტების შესწავლის ნაწილში „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 75^{1} მუხლის მე-8 პუნქტით გათვალისწინებული გადაცდომის შესაძლო ჩადენის ფაქტებზე (წინამდებარე გადაწყვეტილების 1.1 პუნქტი).

ზურაბ აზნაურაშვილი
დამოუკიდებელი ინსპექტორი